არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ქ. ბათუმი, ვაჟა–ფშაველას ქუჩა №21

<< 03 >> << 01 >> 2019 წელი

ბრძანება № 3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის –
„აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს
სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 09 ივლისის №502 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მეორე პუნქტის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს 2018 წლის 13 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს სარგებლობის წესები თანდართული დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დირექტორის მოადგილეს ლილი ჭყონიას
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

დანართი „2“ ფურცელი

დირექტორი ინგა გოგიბერიძე

დაიგზავნოს: საქმეში, დირექტორის მოადგილეს, სტრუქტურული ერთეულებს, გამოიკვრას თვალსაჩინო ადგილზე.

დანართი

„დამტკიცებულია“
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის – „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს დირექტორის
2019 წლის 03 იანვრის №3
ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

1. ზოგადი დებულებანი

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ (შემდგომში - ბიბლიოთეკა) წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციულ დაწესებულებას.

1.2. ბიბლიოთეკის საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს შრომის კოდექსის და სხვა სათანადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ბიბლიოთეკის წესდების შესაბამისად.

1.3. ბიბლიოთეკას უფლება აქვს გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ან მატერიალურ ზიანს აყენებენ ბიბლიოთეკის ქონებას.

1.4. ბიბლიოთეკის ქონების დაცვა და მოვლა-პატრონობა სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისათვის და მომხმარებლისათვის.

1.5. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია.

1.6. ბიბლიოთეკა ვალდებულია დაიცვას მომსახურებით მოსარგებლე პირთა უფლებები.

2. მოქალაქეთა რეგისტრაცია

2.1. ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის აუცილებელია მოქალაქეს ჰქონდეს ბიბლიოთეკის რეგისტრატურის მიერ გაცემული მკითხველის ბილეთი, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით.

2.2. მკითხველის ბილეთის ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქე ვალდებულია გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია.

2.3. მკითხველის ბილეთის მიღებისათვის აუცილებელია მოქალაქემ წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ბინის მისამართის აღნიშვნით) და ერთი ფოტოსურათი (2/3-ზე).

2.4. ბიბლიოთეკაში მოქალაქეთა რეგისტრაცია (გაწევრიანება) აგრეთვე განისაზღვრება მოქალაქეთა რეგისტრაციის წესებით.

3. ბიბლიოთეკის მკითხველს უფლება აქვს:

3.1. ისარგებლოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით, კომპიუტერებით, საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით.

3.2. მიიღოს სრული ინფორმაცია და კონსულტაცია ინფორმაციის პირველადი წყაროების მოძიების, ფონდების შესახებ ფაქტოგრაფიული მონაცემების დაზუსტების საკითხებზე, ჩაატაროს ბიბლიოგრაფიული ძიება ბიბლიოთეკაში არსებული ავტომატიზირებული სისტემების გამოყენებით.

3.3. მოითხოვოს გამოწერილი მასალის გადანახვა სამი დღიდან ოც დღემდე ვადით. მასალის გადანახვის ვადას განსაზღვრავს უფლებამოსილი პირი მასალისა და მკითხველის კატეგორიის შესაბამისად.

3.4. გადაიღოს საბიბლიოთეკო ფონდში დაცული მასალების ასლი მხოლოდ უფლებამოსილი პირის ნებართვით და თანდასწრებით.

3.5. ბიბლიოთეკის აბონემენტის, უცხოური ლიტერატურისა და საბავშვო-ახალგაზრ-დობის განყოფილებებიდან დროებით სარგებლობისათვის, 15 დღის ვადით, გაიტანოს მხატრული ლიტერატურა.

3.6. მომსახურების სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით მიმართოს წინადადებებით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას და საბიბლიოთეკო საბჭოს.

4. ბიბლიოთეკის მკითხველი ვალდებულია:

4.1. საჭირო საბიბლიოთეკო მასალის მისაღებად წარადგინოს მკითხველის ბილეთი.

4.2. საბიბლიოთეკო მასალის მიღების დროს გადაათვალიეროს იგი და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ მასალაზე პასუხს აგებს ის მკითხველი, რომელმაც ბოლოს ისარგებლა აღნიშნული მასალით.

4.3. გაუფრთხილდეს მასზე გაცემულ მასალას, არ დააზიანოს იგი, არ ჩაკეცოს ფურცლები, არ გააკეთოს მინაწერები და სხვა.

4.4. დაიცვას სიჩუმე, წესრიგი, საზოგადოებრივი ქცევის წესები და ჰიგიენური ნორმები;(სამკითხველო დარბაზებში საკვების მიღება აკრძალულია) თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც შეაწუხებს სხვა მკითხველებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ან ზიანს მიაყენებს ბიბლიოთეკის ქონებას.

4.5. ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების დაკარგვის შემთხვევაში:

ა) დაკარგული წიგნების ნაცვლად მოიტანოს იგივე წიგნი; თუ კი ზუსტად იმ წიგნის მოძიება არ მოხერხდა, ჩაანაცვლოს იგივე ავტორის სხვა წიგნით, ჩაანაცვლოს იგივე ავტორის სხვა წლის გამოცემით, ჩაანაცვლოს იმავე ღირებულების აქტუალური და მოთხოვნადი წიგნით.

ბ) დაკარგული წიგნის ნაცვლად გადაიხადოს წიგნის ღირებულების ათმაგი ოდენობა.

გ) დაკარგული წიგნის ნაცვლად გადაიხადოს წიგნის ღირებულების ორმაგი, ხუთმაგი და ათმაგი ოდენობა დაკარგული წიგნის შეფასებიდან გამომდინარე.

დ) დაკარგული წიგნის ჩანაცვლება, ჩამოწერა და საფასურის გადახდა მოხდეს შესაბამისი აქტებით.

5. ბიბლიოთეკის მკითხველს ეკრძალება:

5.1. კუთვნილი მკითხველის ბილეთის სხვისთვის გადაცემა ან სხვისი მკითხველის ბილეთით სარგებლობა.

5.2. საბიბლიოთეკო მასალების ბიბლიოთეკიდან ან სამკითხველო დარბაზიდან გატანა უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.

5.3. წიგნის, გაზეთის, ჟურნალისა და სხვა ერთეულის ბიბლიოთეკის შენობაში შემოტანა.

5.4. ნებისმიერი იარაღის (მათ შორის ფეთქებადი ნივთიერებების, მჭრელი და ბასრი იარაღების), მუსიკალური ინსტრუმენტების, გასამრავლებელი აპარატების, ფოტო და ვიდეო კამერების, სასმელების, საკვები პროდუქტების, ყველა სახის ტექნიკური ხელსაწყოს შემოტანა და ცხოველების შემოყვანა.

5.5. ის პირები, რომლებსაც სპეციალური ნებართვით უფლება აქვთ ბიბლიოთეკის შენობაში შემოიტანონ პირადი კომპიუტერი, გადამღები და სხვა ტექნიკური ხელსაწყოები, ექვემდებარებიან შემოწმებას ბიბლიოთეკის დაცვის სამსახურის მიერ.

5.6. კატალოგებიდან და კარტოთეკებიდან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების - ბარათების ამოღება.

5.7. შენობაში თამბაქოს მოწევა, გარდა საგანგებოდ გამოყოფილი ადგილისა.

5.8. სამკითხველო დარბაზებში მობილური ტელეფონით სარგებლობა.

6. მკითხველის პასუხისმგებლობა წინამდებარე წესების დარღვევისათვის

6.1. ბიბლიოთეკის დარბაზებით, კომპიუტერებით, ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით სარგებლობის წესების პირველად დარღვევის შემთხვევაში მკითხველი გაფრთხილდება, მეორედ დარღვევის შემთხვევაში მკითხველს ჩამოერთმევა მკითხველის ბილეთი სამი თვის ვადით, მესამედ დარღვევის შემთხვევაში მკითხველს ჩამოერთმევა მკითხველის ბილეთი ერთი წლის ვადით. ბიბლიოთეკის ქონებისათვის მიყენებული ზარალისათვის მკითხველი პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.